საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

31/08/2023 N 69

თბილისი

„შპს „იმანი ჯორჯია“-ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 დეკემბრის №85 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–15 მუხლის მე-2 პუნქტის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-18 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

1. „შპს „იმანი ჯორჯია“-ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 დეკემბრის №85 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სს „იმანი ჯორჯია“-ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სს „იმანი ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202376026) რეგისტრირებულ იქნას საგადახდო მომსახურების პროვაიდერად და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი 0001-9004.“;

გ) განკარგულების პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:
„1^1. სს „იმანი ჯორჯია“-ს მიენიჭოს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „გადახდის განხორციელება საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საკუთარი თანხის ფარგლებში“, „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „საგადახდო ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტების გამოშვების და

ექვაირინგის“, „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ფულადი გზავნილების“ და „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ელექტრონული ფულის გამოშვება, გადახდის ოპერაციების განხორციელება ელექტრონული ფულის მეშვეობით, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით“ მომსახურებების განხორციელების უფლება.

2. „შპს „იმანი ჯორჯია“-ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 12 დეკემბრის №85 განკარგულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისთვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს ეროვნული ბანკი